მანანა სანაძე

ქართლის მეფე დარჩილი

(ვახტანგ გორგასლის ვაჟი)

და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2020

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ–მკვლევრებისთვისა და საქართველოს ისტორიის პროგრამაზე მოსწავლე მაგისტრანტი და დოქტორანტი სტუდენტებისათვის. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება თუ, სპეკურსის სახით, წიგნს გაეცნობიან III–IVკურსის ბაკალავრებიც. იმავდროულად, ავტორი იმედს იტოვებს, რომ წიგნი გასაგები და საინტერესო წასაკითხი იქნება ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვისაც.

განზრახული გვაქვს ამ სახით ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების საქართველოს სხვა მეფეების ბიოგრაფიების გამოცემაც.

მეცნიერ-რედაქტორი: გონელი არახამია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი: თამარ ქორიძე, Î×ØÓÖÎÎ× ÑÊàÒÎÊÖÊÇÆÍÆ ÉÓÛØÓÖÎ, ÔÖÓÚÊ×ÓÖÎ

რუკების შემდგენელი და მხატვარი: კონსტანტინე თოფურია

ინგლისური თარგმანი: ირინა ბაგაევასი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარი ვერულაშვილის

ტექნიკური რედაქტორი: მარინა ჟღენტი

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2020
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978–9941–9666–9–9

სარჩევი

თავი I - ქართლის მეფე დარჩილი (ნარკვევი)..... 5

§ 1. დარჩილის ბოიგრაფია ძველი ცოდნის თანახმად 7

§ 2. მეფე დარჩილი, აბრეშუმის გზა და სპარსეთ–ბიზანტიის 541–562 წწ–ის ომი 22

§ 3. დარჩილის ბიოგრაფიის ამსახველი ახლად აღმოჩენილი ქრონიკები 26

§ 4. დარჩილი ეგრისში 532–545 წლებში 55

§ 5. ომი ეგრისისათვის სპარსეთსა და ბიზანტიასს შორის 542/43–562 წწ..... 78

§ 6. დარჩილის კახეთში მოღვაწეობა და მისი წამება...111

თავი II - ქართლის მეფე დარჩილის ცხოვრების ამსახველი ქრონიკები (ტექსტები) 123

§1. *მოქცევაჲ ქართლისაჲ* და *ქართველთა ცხოვრება* დარჩილზე 125

§ 2. *დავით* და *კოსტანტინეს წამება* მეფე დარჩილზე ...128

§ 3. პროკოპი კესარიელი სასანიანი შაჰის ხოსრო I–ის ეგრისში ლაშქრობის შესახებ (542/43 წწ.).....151

§ 4. *ქართველთა ცხოვრება* – სტეფანოზ II–ის შემდგომი თხრობა – არჩილად ქცეული დარჩილი 154

THE KING OF KARTLI OF THE 6TH C. DARCHIL (THE SON OF VAKHTANG GORGASALI) AND THE CHRONICLES DESCRIBING HIS LIFE 183

გამოყენებული ლიტერატურა.....192

საძიებელი 195

ფოტოები:

1. ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე I–ის გამოსახულება ... 19
2. სპარსეთის შაჰის ხოსრო I–ის გამოსახულებები 20
3. პეტრას ციხის ნანგრევები 79
4. ბიზანტიური, სასანური და ქართული მონეტები 80
5. მდინარე ხანისწყლის ხეობა..... 89
6. ციხეგოჯის (არქეოპოლისის) ნანგრევები..... 90
7. კასრის ეკლესია 115
8. თელავის ნოტკორის ეკლესიის ფრაგმენტები 115
9. ნოტკორის ეკლესია თიანეთში 116

რუკები:

1. ქართლი და ეგრისი 531–543 წლებში..... 82–83
2. ქართლი და ეგრისი 555–580–იან წლებში 120–121

ფოტოები ძირითადად ამოღებულია ინტერნეტიდან. თიანეთის ნოტკორის მონასტრის გამოსახულებები, მოგვაწოდა ხელოვნებათმცოდნემ და არქიტექტორმა თამაზ დვალმა, რაც შეეხება თელავის ნოტკორის ტაძრის ფრაგმენტებს, მათი ფოტოები მოგვაწოდა არქეოლოგმა გიორგი ლაღიაშვილმა, რისთვისაც ორივეს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ფოტოები:

1. ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე I-ის გამოსახულება ...19
2. სპარსეთის შაჰის ხოსრო I-ის გამოსახულებები.....20
3. პეტრას ციხის ნანგრევები 79
4. ბიზანტიური, სასანური და ქართული მონეტები.....80
5. მდინარე ხანისწყლის ხეობა.....89
6. ციხეგოჯის (არქეოპოლისის) ნანგრევები.....90
7. კასრის ეკლესია.....115
8. თელავის ნოტკორის ეკლესიის ფრაგმენტები.....115
9. ნოტკორის ეკლესია თიანეთში.....116

რუკები:

1. ქართლი და ეგრისი 531-543 წლებში.....81-82
2. ქართლი და ეგრისი 555-580-იან წლებში....122-123

ფოტოები ძირითადად ამოღებულია ინტერნეტიდან. თიანეთის ნოტკორის მონასტრის გამოსახულებები, მოგვაწოდა ხელოვნებათმცოდნემ და არქიტექტორმა თამაზ დვალმა, რაც შეეხება თელავის ნოტკორის ტაძრის ფრაგმენტებს, მათი ფოტოები მოგვაწოდა არქეოლოგმა გიორგი ლაღიაშვილმა, რისთვისაც ორივეს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

თავი I

ქართლის მეფე დარჩილი

(ნარკვევი)

§ 1. დარჩილის ბოიგრაფია ძველი ცოდნის თანახმად

<u>დარჩილის ცხოვრების ამსახველი წყაროები.</u> ვახტანგ გორგასლის[1] უფროს ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეზე, მეფე დარჩილზე, ფრიად მწირი ცნობები მოგვეპოვებოდა. სულ ბოლო ხანებამდე მისი მეფობის დროც კი არასწორად იყო განსაზღვრული – დაახლოებით 502–510/15 წლები. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მისი მამის, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების გასაყარზე მცხოვრები ქართლის დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების დაუდგენლობა, უფრო ზუსტად, არასწორი გააზრება გახლდათ. მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ ვახტანგი 490 ან 502 წ. კი არა, არამედ 531-წ. გარდაიცვალა, ქართლში შემოჭრილ სპარსეთის შაჰ ხოსრო ანუშირვანთან ბრძოლაში, დარჩილის ცხოვრებისა და მეფობის წლების სწორად განსაზღვრა დიდი მიახლოებით გახდა შესაძლებელი. დარჩილი დაიბადა 502/03 წ. და გარდაიცვალა 550-

---

[1] ვახტანგ გორგასლის სახელებიდან მეტსახელი გორგ–ა–სარ–ი სპარსულად მგლის თავას ნიშნავს (გორგ//გურგ – მგელი, სარ – თავი) და მას მუზარადის გამო შეარქვეს, რომელზედაც მგლის თავი იყო ამოტვიფრული, რაც შეეხება ვახტანგს, ის **ვა**რან **ხ**ოსრო**თაგან**–ის დაქარაგმებული ჩანაწერიდანაა მიღებული, რომელშიც მრავალგზისი გადაწერისას ***ნ*** და ***გ*** ასო–ნიშნებმა ადგილები შეანაცვლეს. ხოსროიანი, ხოსროვანი, ხოსროთაგ[ა]ნი ქართულ წყაროებში სასანიანთაგან წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენება. ვარან ხოსროთანგი, რასაც ლეონტი მროველი ვახტანგის სპარსულ სახელად მიიჩნევს, მიღებულია ხოსროთაგანიდან და სასანიან ვარანს ნიშნავს, რაც შეეხება ვარან–ს, იგივე ვარახრან–ს, ეს სახელი ფრიად გავრცელებული იყო სპარსეთის სასანიან ხელმწიფეებში. VI ს–დან მოყოლებული, სპარსულ ენაში მომხდარი ცვლილებების გამო ***ვ*** ფონემა ***გუ*** დიფთონგმა ჩაანაცვლა. ასე მივიღეთ გუარან//გუარამ. ამგვარად ***ვარან*** და ***გუარამ*** ერთი და იგივე სახელის ფონეტიკური ვერსიებია, პირველი უფრო ადრინდელი, მეორე – შედარებით გვიანდელი (ბერაძე & სანაძე, 2003, გვ. 81; სანაძე, 2016, გვ. 308–309; სანაძე, 2019, გვ. 499–501).

იანი წლების ბოლოს ან 560-იანი წლების დასაწყისში. დარჩილი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა ის, სპარსეთ-ბიზანტიის 541-562 წლების ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ანაც 562 წ. დაზავების შემდგომ, მალევე, საგანგებოდ ამ მიზნით შემოსულმა სპარსმა სარდალმა სიკვდილით დასაჯა - თავი მოჰკვეთა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფე დარჩილზე ბევრი არაფერი ვიცოდით, ვინაიდან წყაროები, რომლებიც დანამდვილებით მასზე მოგვითხრობდა, ფრიად მოკლე და მწირი იყო, ხოლო ქრონიკები, რომელიც მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მომენტებს შეიცავდა, ჯერ კიდევ ლეონტი მროველმა, დარჩილისა და მისი ძმის მირის, შეცდომით, VIII ს-ის I ნახ-ის ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის ვაჟებთან მირთან და არჩილთან გაიგივების გამო, სტეფანოზ II-ის ცხოვრებისადმი განკუთვნილ მონაკვეთში მოათავსა. ამ მცდარი მიკუთვნების შედეგად, მემატიანემ სტეფანოზ II და სტეფანოზ III ერთ პიროვნებად შერწყა (თუმცა ქართლის ამ ორ ერისმთავარს ერთმანეთისაგან სულ ცოტა 50 წელი აშორებთ), ხოლო არჩილად ქცეული დარჩილის და მისი უმცროსი ძმის, მირის ცხოვრების ქრონიკამ კი VI ს-ის შუა წლებიდან და სპარსეთ-ბიზანტიის დიდი ომიანობის ხანიდან, VIII ს-ის შუა წლებსა და მეორე ნახევარში - არაბობის ხანაში, ერისმთავრების მირისა და მისი უმცროსი ძმის არჩილის ცხოვრებისადმი მიძღვნილ მონაკვეთში დაიდო ბინა. ამ მიმართულებით ჩაღრმავებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ქრონიკა, რომელიც აქამდე სტეფანოზის ვაჟებზე, ქართლის ერისმთავრებზე, მირსა და არჩილზე გვეგონა მოგვითხრობდა, თურმე ქართლის მეფის დარჩილისა და მისი უმცროსი ძმის პატრიკიოსი მირის ბიოგრაფიას ასახავს.

უპირველეს ყოვლისა ვეცდებით, დარჩილის ბიოგრაფია წარმოვაჩინოთ *ქართველთა ცხოვრებაში* და *მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში* დარჩილისადმი მიძღვნილი მონაკვეთების მი-

ხედვით, ანუ იმ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც აქამდეც ისტორიოგრაფიაში ცნობილი იყო, როგორც დარჩილის შესახებ თხრობა.

ქართველთა ცხოვრების ფრიად მოკლე ცნობებსა (რომლებიც გაბნეულია მისი მამის, *ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასა* და საკუთრივ დარჩილის ცხოვრებისადმი მიძღვნილ მონაკვეთში) და *მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში* დაცულ კიდევ უფრო მოკლე ინფორმაციაზე დაყრდნობით, დარჩილის ცხოვრება ზოგადად შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

<u>წარმომავლობა (გვარიშვილობა).</u> დარჩილი მამის, ვახტანგ გორგასლის მსგავსად, ქართლში ჯერ კიდევ 265 წლის ახლო ხანებში დამკვიდრებული, სპარსული სამეფო, სასანური, საგვარეულოდან წარმოდგებოდა[2]. პირველი მეფე ამ საგვარეულოდან ქართლის ტახტზე მირიანის მამა რევ მართალი იყო, რომელიც თავის მხრივ სპარსეთის რიგით მეორე სასანიანი შაჰის შაბურ I-ის უფროსი ვაჟის ჰორმიზდ-არდაშირის (სომხეთის დიდი მეფე 253–271 წწ; სპარსეთის შაჰი 271–273 წწ.) ვაჟი გახლდათ. 265 წლის ახლო ხანებში, დაახლ. 10/11 წლის რევი იმხანად სომხეთის ტახტზე მყოფმა ჰორმიზდ-არდაშირმა ქართლში შემოიყვანა და მასთან ბრძოლაში დაღუპული ცოლის ძმის (რევის ბიძის დედის მხრიდან), ქართლის მეფის ამაზასპ II-ის (დაახლ. 235–265 წწ.) ტახტზე მეფედ დასვა.

სახელი *დარჩილიც* ირანული წარმოშობისაა. *ის* საშუალო სპარსული სიტყვების: *დარ* (პყრობა, ფლობა) და *ჩიჰრ* (გვარი, ტომი, ნათესავი, მოდგმა) გაერთიანებით მიიღება (დარჩიჰრ) და გვარ-ტომის მქონეს ნიშნავს (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 463). აღსანიშნავია, რომ *დარჩილი* და *არჩილი* (ეს უკანასკნელი *არიული მოდგმის*, *წარმოშობის მქონეს* ნიშნავს) მსგავსი შინაარსის მქონე სახელებია, ვინაიდან სწორედაც არიული მოდგმის ქონა,

---

2 ქართულ წყაროებში სასანიანები ხოსროიანებად იწოდებიან.

ანუ არიელობა ნიშნავდა გვარტომიანობას. ასე რომ, ვახტანგმა თავის ვაჟს, შეიძლება ითქვას, პაპის სახელი (არჩილი) დაარ-ქვა ოდნავ განსხვავებული ჟღერადობითა და ვერსიით. ასეთი მსგავსი ჟღერადობის გამო, მომავალში, როდესაც სასანური სპარსეთი საქართველოში არაბებმა შეცვალეს და სპარსულის ცოდნა საზოგადოებაში გაქრა, ეს ორი სახელი ხელნაწერებში ერთმანეთში აირია – დარჩილს არჩილადაც მოიხსენიებდნენ.

<u>ახლო წინაპრები და მშობლები</u>. დარჩილის პაპა (მა-მის მხრიდან) ქართლის მეფე მირდატ VIII (466–478 წწ.) ქარ-თლის მეფის, არჩილ I-ის (428–466 წწ.) ძე იყო და ქართლის სასანიანთა სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. დიდედა (მამის დედა) ქართლის დედოფალი, საგდუხტი გახლდათ, რომელიც სასანიანთა სპარსეთის ერთ-ერთი ელიტარული, მიჰრანიანთა საგვარეულოდან წარმოსდგებოდა. საგდუხტი სპარსეთის დიდ-მოხელის, რანის-მოვაკანისა (მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ალბანეთი) და ადარბადაგანის (დღევანდელი ირა-ნის აზერბაიჯანი) პიტიახშის საჰაკ ბარზაბორდის (საჰაკ ღვთივ-გაბრძნობილი, უჭკვიანესი) ასული გახლდათ. საგდუხტი მირდატ არჩილის-ძეს, ჯერ კიდევ მის უფლისწულობაში გაჰყვა ცოლად. *ქართლის ცხოვრების* ინფორმაციით, ქორწინებას მირდატის მხრიდან საგდუხტისადმი ტრფიალი დასდებია საფუძვლად, თუმცა ისტორიული ფონის გათვალისწინებით, აშკარა ხდება, რომ სიყვარულის გარდა პოლიტიკურ მიზნებსაც არანაკლები როლი უნდა ეთამაშა – მეფე არჩილი და მისი ვაჟი, უფლისწუ-ლი და თანამოსაყდრე მირდატი, სომხეთთან და ალბანეთთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ 440–450-იან წლებში სპარსეთის წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებაში (სანაძე, 2016, გვ. 297–308), რომელიც სპარსეთის შაჰმა პეროზმა ტახტზე ასვლის შემდეგ (459 წ.) საბოლოოდ დაასრულა. საგდუხტზე ქორწინე-ბაც სპარსეთის შაჰთან შერიგებისა და მის მიმართ „ბოდიშის მოხდის“, „ცოდვების მონანიების“ ფონზე უნდა შემდგარიყო.

დარჩილის დედაც წარმოშობით სასანიანი იყო[3], უფრო მეტიც, ის უშუალოდ სპარსეთის შაჰის ასული გახლდათ. მას *ქართველთა ცხოვრება* ბალან-დუხტს უწოდებს. დუხტი სპარსულად ასულს, ქალიშვილს ნიშნავს, ხოლო სახელს დართული, მამის სახელზე მიუთითებს. ამგვარად, ბალან-დუხტი ბალანის ასული, ქალიშვილია. აშკარაა, რომ სახელმა ბალანმა ჩვენამდე ერთგვარად დამახინჯებული ფორმით მოაღწია (თუმცა, ასეთი სახელიც არსებობდა), ვინაიდან ამ სახელის მქონე სპარსეთის შაჰი უცნობია. თუმცა 484-488 წლებში სპარსეთის შაჰი იყო ბალაში (იგივე ვალაში), კავადის ბიძა, რომელიც სპარსეთის უმაღლესმა საერო და სასულიერო მოხელეებმა 4 წლის მმართველობის შემდეგ ტახტიდან ჩამოაგდეს და მის ადგილას მისივე 15 წლის ძმისშვილი, კავადი (პეროზის ვაჟი) დასვეს (488 წ.). მიუხედავად სამეფო კარზე მომხდარი ამ გადატრიალებისა, ბალაში, არ მოუკლავთ (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე). უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ ბალაშის ქალიშვილი იყო დარჩილის დედა, რომლის სახელის სწორი ვერსია, სავარაუდოდ, არის არა ბალან, არამედ ბალაშ-დუხტი[4] (სანაძე, 2016, გვ. 325).

ვახტანგს და ბალაშ-დუხტს დაახლ. 498-501 წლებს შორის უნდა ექორწინათ. ამ თარიღზე საკუთრივ ტყუპების დაბა-

---

3 საერთოდ სასანიანებისათვის არასასანური წარმოშობის ქალის ცოლად მოყვანა კარგ ტონად არ ითვლებოდა. სასანური განშტოებები ერთმანეთში ქორწინდებოდნენ. ზოგადად, ზოროასტრული სარწმუნოება ოჯახის შიგნით (და-ძმა, მამა-შვილი) ქორწინებებს არ ზღუდავდა. ამ შეუზღუდაობით, უპირველეს ყოვლისა, სამეფო სასანური საგვარეულო სარგებლობდა, ვინაიდან სასანიანებს სწამდათ, რომ ოჯახის შიგნით ქორწინება ღვთისაგან მათთვის, როგორც სამეფო საგვარეულოსათვის, ცხებული ღვთიური მადლის შენარჩუნებაში ეხმარებოდა.

4 ბალან-დუხტი, უნდა ვიფიქროთ, ბალ[აშ]ან-ის გაუხსნელი ქარაგმაა. ასეთი, სპარსულის მრავლობითი რიცხვით გაფორმებული სახელები სხვა შემთხვევებშიც გვხვდება ქართულ წყაროებში, მაგ., ამაზასპ და ამაზასპან, მიჰრ და მიჰრან და სხვ.

დების თარიღი მეტყველებს (502/03 წ.). ბალაშ-დუხტისათვის ეს პირველი მშობიარობა იყო. რა თქმა უნდა, შესაძლოა, მას მანამდე რამდენიმე უშედეგო ორსულობაც ჰქონოდა, ან სულაც რამდენიმე წელი არ დაორსულებულიყო, მაგრამ ქორწინების აღნიშნულ თარიღზე ქვევით ჩაწევა, ხელოვნური გვეჩვენება. ამ თარიღს ვახტანგის ცხოვრების სხვა თარიღებიც ეხმიანება. მართლაც, დარიალის ციხე და ხეობა, რომელიც ვახტანგმა სპარსეთის სამხედრო კორპუსთან ერთად[5] ოსებთან საბრძოლველად მიმავალმა დალაშქრა, ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, 491 წელს ჯერ კიდევ ოსების ხელში იყო, თუმცა მის მპყრობელ ამბაზუკს[6], სავარაუდოდ, სპარსეთის მხრიდან მის წინააღმდეგ დაგეგმილი ლაშქრობის შესახებ ინფორმაციის შეტყობის გამო, ბიზანტიის კეისრის ტახტზე იმხანად ასული ანასტასისათვის (491-517 წწ.) მიუმართავს და მისთვის, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ციხის გადაცემა შეუთავაზებია, რაზედაც უარი მიუღია. აქედან არცთუ დიდი ხნის შემდეგ სპარსეთს ამბაზუკის წინააღმდეგ ულაშქრია და დარიალის ციხესა და ხეობას დაუფლებია. ასე რომ, ვახტანგის ცხოვრებიდან ჩვენთვის ცნობილი ვახტანგისა და მისი ბიძის (დედის ძმის), რანისა და ადარბადაგანის პიტიახშის, ვარაზ-ბაკურის ლაშქრობა ოსების წინააღმდეგ 493 წ-ს დიდად ვერ გადასცილდება.

ამ ლაშქრობიდან უკანმოუბრუნებლად[7] ვახტანგი ქლუ-

---

5 15 ათასიან სპარსულ შენაერთს ვახტანგის ბიძა (დედის ძმა), ალბანეთისა და ადარბადაგანის პიტიახში ვარაზ-ბაკური ხელმძღვანელობდა.

6 *ამბაზუკი* პროკოპი კესარიელს აღნიშნული პიროვნების საკუთარი სახელი ჰგონია, სინამდვილეში, ის ოსურ-ირანულ ენებში მეფის ნაცვალს, მეფის შემდგომ მეორე პირს ნიშნავს.

7 უკან ვახტანგმა გამოუშვა სპარსული გარნიზონი და მრავალი წლის წინ ოსების მიერ ქართლის დალაშქვრის შედეგად დატყვევებული და ოსეთში წაყვანილი მოსახლეობა, რომელიც თავის საკუთარ დასთან, მირანდუხტთან ერთად გაათავისუფლა და სამშობლოში დააბრუნა, თვითონ კი კავკასიონის ჩრდილოეთით, ქედის გასწვრივ დასავლე-

დების თარიღი მეტყველებს (502/03 წ.). ბალაშ-დუხტისათვის ეს პირველი მშობიარობა იყო. რა თქმა უნდა, შესაძლოა, მას მანამდე რამდენიმე უშედეგო ორსულობაც ჰქონოდა, ან სულაც რამდენიმე წელი არ დაორსულებულიყო, მაგრამ ქორწინების აღნიშნულ თარიღზე ქვევით ჩაწევა, ხელოვნური გვეჩვენება. ამ თარიღს ვახტანგის ცხოვრების სხვა თარიღებიც ეხმიანება. მართლაც, დარიალის ციხე და ხეობა, რომელიც ვახტანგმა სპარსეთის სამხედრო კორპუსთან ერთად[5] ოსებთან საბრძოლველად მიმავალმა დალაშქრა, ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, 491 წელს ჯერ კიდევ ოსების ხელში იყო, თუმცა მის მპყრობელ ამბაზუკს[6], სავარაუდოდ, სპარსეთის მხრიდან მის წინააღმდეგ დაგეგმილი ლაშქრობის შესახებ ინფორმაციის შეტყობის გამო, ბიზანტიის კეისრის ტახტზე იმხანად ასული ანასტასისათვის (491-517 წწ.) მიუმართავს და მისთვის, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ციხის გადაცემა შეუთავაზებია, რაზედაც უარი მიუღია. აქედან არცთუ დიდი ხნის შემდეგ სპარსეთს ამბაზუკის წინააღმდეგ ულაშქრია და დარიალის ციხესა და ხეობას დაუფლებია. ასე რომ, ვახტანგის ცხოვრებიდან ჩვენთვის ცნობილი ვახტანგისა და მისი ბიძის (დედის ძმის), რანისა და ადარბადაგანის პიტიახშის, ვარაზ-ბაკურის ლაშქრობა ოსების წინააღმდეგ 493 წ-ს დიდად ვერ გადასცილდება.

ამ ლაშქრობიდან უკანმოუბრუნებლად[7] ვახტანგი ქლუ-

---

5 15 ათასიან სპარსულ შენაერთს ვახტანგის ბიძა (დედის ძმა), ალბანეთისა და ადარბადაგანის პიტიახში ვარაზ-ბაკური ხელმძღვანელობდა.

6 ამბაზუკი პროკოპი კესარიელს აღნიშნული პიროვნების საკუთარი სახელი ჰგონია, სინამდვილეში, ის ოსურ-ირანულ ენებში მეფის ნაცვალს, მეფის შემდგომ მეორე პირს ნიშნავს.

7 უკან ვახტანგმა გამოუშვა სპარსული გარნიზონი და მრავალი წლის წინ ოსების მიერ ქართლის დალაშქვრის შედეგად დატყვევებული და ოსეთში წაყვანილი მოსახლეობა, რომელიც თავის საკუთარ დასთან, მირანდუხტთან ერთად გაათავისუფლა და სამშობლოში დააბრუნა, თვითონ კი კავკასიონის ჩრდილოეთით, ქედის გასწვრივ დასავლე-

ხორის უღელტეხილით აფხაზეთში შეიჭრა, რომელიც იმ-ხანად ბიზანტიელებს ეჭირათ და მათ ხელში მყოფი აფხაზეთის ციხე-სიმაგრეები დაიკავა. ოსეთსა და აფხაზეთში ლაშქრობას ვახტანგმა სამ წელზე ცოტა მეტი მოანდომა და, სავარაუდოდ, სადღაც 497 წ-ის დასაწყისში მცხეთაში დაბრუნდა. ამის შემ-დეგ გააგზავნა მან ელჩობა სპარსეთში ბალაშ-დუხტის ხელის სათხოვნელად. მაგრამ იმხანად სპარსეთში არამდგრადი ვითა-რება შეიქმნა. 496 წელს სპარსეთის გავლენიანმა წრეებმა ახლა უკვე კავადი ჩამოაგდეს ტახტიდან, საპყრობილეში მოათავსეს და მის ნაცვლად ტახტზე მისი უმცროსი ძმა ჯამასპი (496-498) აიყვანეს. კავადმა გაქცევა მოახერხა და ქვეყნის აღმოსავლეთ-ში სპარსეთის დაუძინებელ მტრებთან – ჰუნ-ჰეფტალიტებთან შე-აფარა თავი. 499 წ-ს კავადმა ტახტი ამ უკანასკნელთა დახმარე-ბით კვლავ დაიბრუნა და ამჯერად უკვე გარდაცვალებამდე (531 წ.) მტკიცედ ეპყრა. ასე რომ, ვახტანგისათვის სასანიანი საცო-ლის შესარჩევად და გამოსაგზავნად 497-498 წლებში სპარსეთს ნაკლებად ეცალა. 499 წ-ის შემდგომ კი კავადს ვახტანგისათვის საცოლის შერჩევა არ გაუჭირდებოდა. ელჩების მიმოსვლას, შე-თანხმებას, ქალის ქართლში ჩამოყვანასა და ქორწილს კიდევ სულ მცირე ერთი წელი დასჭირდებოდა. ასე რომ, ქორწინების ჩვენ მიერ გაჟღერებული თარიღი, სრულიად რეალური ჩანს.

იმას, რომ ვახტანგი და ბალაშ-დუხტი მართლაც V ს-ის მი-წურულს დაქორწინდნენ, მათი შვილების – დარჩილისა და მისი ტყუპისცალი დის დაბადების შესახებ ინფორმაციაც გვიდას-ტურებს: *ქართველთა ცხოვრება* გვამცნობს, რომ დაჩი და მისი ტყუპისცალი და ვახტანგს საბერძნეთში სალაშქროდ მყოფს, სპარსეთ-ბიზანტიის 502-507 წლების ომის საწყის ეტაპზე, სად-ღაც 502/3 წ. შეეძინა, ისიც ვიცით, რომ ვახტანგის სპარსეთის შაჰთან (კავადი) ერთად ინდოეთში ლაშქრობის წინ (507/8 წ.)

თისკენ გაემართა და იქიდან, სავარაუდოდ, ქლუხორის უღელტეხი-ლით აფხაზეთში შევიდა.